

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საია საგადასახდო ორგანოებს
მოუწოდებს არ შეაფერხონ
"მედიაპალიტრის" ჰოლდინგში შემავალი
სუბიექტების საქმიანობა**

2011 წლის 7 ივნისს საქართველოს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა წინასწარი შეტყობინების გარეშე დაიწყეს ა[] A შემავალი ექვსი შპს-ს საგადასახადო შემონმება. აღნიშნული განიმარტა იმით, რომ ისინი ახორციელებენ მიმდინარე კონტროლს, რასაც კანონის თანახმად არ სჭირდება წინასწარი ათღლიანი შეტყობინება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



თუმცა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შემონმება არ შემოიფარგლება მხოლოდ ინვენტარიზაციით, როგორც ეს შემოსავლების სამსახურის განცხადებაში აღინიშნა.

ა[] A გადაცემული საგადასახადო შეტყობინებიდან ნათლად ჩანს, რომ 10 დღეში დაინცება სრული გასვლითი საგადასახადო შემონმება.

მნიშვნელოვანია, რომ ა[] A აქტიურად აშუქებდა 26 მაისის ღამეს მომხდარ მოვლენებს და მისი სამი ჟურნალისტის მიმართ ადგილი ჰქონდა პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლასა და სხვა დანაშაულის ნიშნებს. ნიშანდობლივია, რომ საგადასახადო შემონმების დაწყება, სწორედ აღნიშნულ კომპანიებში და სწორედ ამ მოცემულობაში, საზოგადოების მიერ აღქმულ იქნა, როგორც მედიის მიმართ განხორციელებული ზენოლის მცდელობის კიდევ ერთი გამოვლინება.

მოვუწოდებთ საგადასახადო ორგანოებს, აღნიშნული კომპანიების შემონმების პროცესი იყოს მაქსიმალურად სამართლიანი და გამჭვირვალე, ამასთან აუცილებელია ხელი არ შეეშალოს მათ ყოველდღიურ საქმიანობას.

ასევე, მივმართავთ საგადასახადო ომბუდსმენს ზედამახევდებლობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს და უზრუნველყოს ამ კომპანიების უფლებების დაცვა.